

# საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი

2018-2021 წლების ანგარიში

საანგარიშო პერიოდში ჩვენი მთავარი მიღწევებია:



- ჟურნალის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მარეგულირებელი პოლიტიკა;
- ჟურნალის მკაფიოდ განსაზღვრული სტრუქტურა და მართვის პროცესში საბჭოს ჩართულობა;
- ჟურნალისადმი მაღალი ინტერესი, რაც უზრუნველყოფილია ხარისხიანი და აქტუალური ნაშრომების წარმოდგენით;
- ჟურნალის საერთაშორისო აღიარება ავტორიტეტული ბაზების და ინდექსირების ინსტიტუციების მიერ.

## ჟურნალის პარტნიორობა ადგილობრივ აკადემიურ სექტორთან



ჟურნალი გამოიცემა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან პარტნიორობით, რაც უზრუნველყოფს მისი გამოცემისთვის საჭირო რესურსების მობილიზებას.

საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი წარმოადგენს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტისა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შორის პარტნიორობის პროექტს. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ჟურნალში სტატიების მოზიდვას აკადემიურ წრეებში ინფორმაციის გავრცელებით, იგი ასევე უზრუნველყოფს ჟურნალში შემოსული განაცხადების პლაგიატის შემოწმებისთვის საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფას და ჟურნალის ბეჭდური ვერსიების გამოცემას (400 ქართული და 100 ინგლისური ეგზემპლიარის სახით).

## ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკა და მართვა



ჟურნალის პირველი მიღწევა იყო რეგლამენტირებული მიდგომების და მართვის ორგანოს ჩამოყალიბება, რაც საერთაშორისო პრაქტიკასთან და სტანდარტებთან შესაბამისია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინა გამოცემებს არასოდეს ჰქონია რეგლამენტირებული სარედაქციო პოლიტიკა ან სხვა მარეგულირებელი წესები. შესაბამისად, ახალი ჟურნალის მომზადებისთვის არსებითი იყო საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის და აკადემიური გამოცემების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მსგავსი რეგულირების შემუშავება.

## ჟურნალის მარეგულირებელი აქტები



ჟურნალის ხედვაა, იყოს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, იგი ისწრაფვის აკადემიურ სივრცეში ეთიკისა და კვლევის სტანდარტების გაძლიერებისა და წახალისებისაკენ.

ჟურნალის მიზანია, განავითაროს საკონსტიტუციო სამართლის დარგში კვლევაზე და ღრმა ანალიზზე დაფუძნებული მსჯელობა, შემოიტანოს მეცნიერებაში სიახლეები და გააღრმავოს არსებული დისკუსია, შესაძლებლობა მისცეს ავტორებს, ფართო საზოგადოებას გააცნონ საკუთარი ნაშრომები.

პირველი და ყველაზე პრიორიტეტული იყო ჟურნალის მარეგულირებელი აქტების შემუშავება სხვადასხვა სტანდარტის შესაბამისად, მასში დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. სწორედ ამიტომ, სასამართლოს თავმჯდომარესთან კონსულტაციით შეირჩა სარედაქციო საბჭოს შესაძლო წევრები, რომლებთანაც წარვადგინეთ როგორც ჟურნალის დებულება, ისე სარედაქციო პოლიტიკა.

ჟურნალის სარედაქციო საბჭოს პირველი შემადგენლობა ასეთი იყო:

1. ზაზა თავაძე - საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე;
2. თეიმურაზ ტულუში - საბჭოს წევრი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ირინე ურუშაძე - საბჭოს წევრი, ჟურნალის რედაქტორი;
4. ანა ფირცხალაშვილი - საბჭოს წევრი, ჟურნალის პარტნიორის, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის წარმომადგენელი, სამართლის ფაკულტეტის დეკანი;
5. ბესიკ ლოლაძე - საბჭოს წევრი, (სეუ) პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
6. ვახუშტი მენაბდე - საბჭოს წევრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი.
7. გიორგი ჩხეიძე - საბჭოს წევრი, „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG) პროექტის ხელმძღვანელი. აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMII).

საბჭოს წევრებთან კონსულტაციით ჩამოყალიბდა თავად [საბჭო](#) (2018 წლის 20 აპრილს) და განისაზღვრა როგორც [დებულება](#) (რომელიც დამტკიცდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით ჟურნალის რედაქტორის სამუშაო აღწერილობასთან ერთად, პროტოკოლისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დებულების დანართად), ასევე სარედაქციო საბჭოს დებულება და სარედაქციო პოლიტიკა (ეს აქტები დამტკიცებულია და ცვლილებებს განიცდის სარედაქციო საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით).

[ჟურნალის დებულება](#) წარმოადგენს მთავარ სამოქმედო აქტს, რომელიც განსაზღვრავს მის სახელწოდებას, შესაბამის სერიულ ნომრებს (მინიჭებულია ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ), მისი მართვის წესს და საავტორო უფლებების საკითხებს.

ჟურნალის სარედაქციო საბჭოს 2019 წლიდან დაემატა ეკპარდ პახე, საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტის პროფესორი, რაც ხაზს უსვამს ჟურნალის საერთაშორისო სტატუსს. 2020 წლიდან კი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი საბჭოს წევრად დარჩა როგორც სამართლის პროფესორი და საბჭოს დაემატა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ახალი წარმომადგენელი - გიორგი მირიანაშვილი.

## ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკა

ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკა ეფუძნება ღია გამოცემის პრინციპებს და ეთიკის სტანდარტებს.

ჟურნალი აღიარებს და ისწრაფვის საერთაშორისო საგამომცემლო პრინციპებისა და კარგი პრაქტიკის ერთგულებისაკენ. იგი იზიარებს ისეთ საერთაშორისოდ აღიარებულ ღირებულებებს და გამოცდილებებს, როგორცაა ბუდაპეშტის ღია ხელმისაწვდომობის ინიციატივის (BOAI) სახელმძღვანელო პრინციპები და გამოცემების ეთიკის კომიტეტის (COPE) ცენტრალური პრაქტიკა.

სარედაქციო პოლიტიკის შემუშავებაში და დახვეწაში აქტიურად იყვნენ ჩართული სარედაქციო საბჭოს წევრები, ამასთან, შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო საერთაშორისო რეიტინგული და ავტორიტეტული გამოცემების გამოცდილება (მათ შორის, ოქსფორდის, კემბრიჯის, სტენფორდის უნივერსიტეტების და სხვათა გამოცემები) და სხვადასხვა სტანდარტი.

ამასთან, ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკა ეტაპობრივად იხვეწებოდა ძირითადად იმ მოთხოვნათა შესაბამისად, რასაც ჟურნალისადმი აყენებდა საერთაშორისო ბაზები ან გამომდინარეობდა ჟურნალის განვითარებიდან.

ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკა ფარავს ისეთ საკითხებს, როგორცაა:

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებელ სტატიათა ტიპები და მათი შერჩევის წესები;
2. სტატიათა მოცულობა და ძირითადი მახასიათებლები ტიპების შესაბამისად;
3. სტატიისადმი დადგენილი შინაარსობრივი:
  - 3.1. ნაშრომის ორიგინალობის მოთხოვნა;
  - 3.2. აქტუალობის და არგუმენტირებულობის მოთხოვნა;
  - 3.3. ნაშრომის თანმიმდევრულობის (coherence) მოთხოვნა;
4. სტატიისადმი დადგენილი ეთიკის სტანდარტები:
  - 4.1. პლაგიატის აკრძალვა და შესაბამისი პროცედურები;
  - 4.2. წყაროების მითითების და ციტირების წესები;
  - 4.3. საავტორო უფლებების საკითხები;
5. ეთიკის საკითხების დარღვევაზე რეაგირების პროცედურები.

აღნიშნული რეგულირებების მთავარი მიზანია, უზრუნველყოს ჟურნალის მაღალი აკადემიური ხარისხი და ეთიკური მიდგომები. ამასთან, ჟურნალი ადგენს მაქსიმალურად ობიექტურ წესებს ავტორებისათვის და ცდილობს უზრუნველყოს მოქნილობა გამოქვეყნების პროცესში, რისთვისაც გარკვეული ეთიკური ან შინაარსობრივი უზუსტობების შემთხვევაში, როდესაც სახეზე არაა განზრახვი ან უხეში დარღვევები, რედაქტორი უზრუნველყოფს სტატიებში ხარვეზის გამოსწორებას და შესაბამის მითითებს აძლევს ავტორებს.

## ჟურნალში სტატიათა გამოქვეყნების ძირითადი პროცესი

ჟურნალში სტატიათა გამოქვეყნება საკმაოდ კომპლექსური პროცესის გავლით ხდება:

## ნაშრომების აბსტრაქტის მიღება

- ბოლო გამოცემების პრაქტიკით დადგინდა ორეტაპიანი კონკურსი, როდესაც პრიველ ეტაპზე აბსტრაქტების მიღება ხდება.

## აბსტრაქტების შერჩევა

- რედაქტორი წარუდგენს სარედაქციო საბჭოს რეკომენდაციებს მიღებული აბსტრაქტების შეფასებებით
- სარედაქციო საბჭო ირჩევს გამოსაქვეყნებელ სტატიებს და ამავდროულად დამატებით მითითებებს აძლევს ავტორებს სტატიათა მომზადებისთვის
- რედაქტორი უზრუნველყოფს გადაწყვეტილების გაცნობას ავტორებისათვის და დამატებით უზიარებს მათ ინსტრუქციებს და ეთიკის სტანდარტებს.

## ნაშრომების შეფასება პლაგიატის პროგრამაში

- პლაგიატის პროგრამის მიერ მითითებული თითოეული დამთხვევა ფასდება რედაქტორის მიერ, რათა გამოირჩიოს პროგრამის შეცდომა;
- მაღალი პლაგიატის მაჩვენებელი (10%-ზე მეტი რეალური დამთხვევები) და ამავდროულად ნაშრომი არ შეიცავს ანალიტიკას და არ წარმოადგენს აქტუალურ საკითხს, ნაშრომი არ გადაეცემა სარედაქციო საბჭოს და რედაქტორი თავად წყვეტს მის გამოქვეყნებაზე უარს;
- თუ ნაშრომში 10%-ზე მეტია პლაგიატის რეალური შემთხვევები, თუმცა ნაშრომი აქტუალური და ანალიტიკურია, ავტორს ეძლევა ვადა განმარტების წარმოსადგენად და გამოსწორებისათვის. **გამოსწორება მისაღებია**, თუ ავტორის მხრიდან დაშვებული იყო გულწრფელი შეცდომა;
- თუ დამთხვევები 10%-ზე ნაკლებია, ავტორს მოეთხოვება გამოსწორება და განმარტება.

## დასრულებული ნაშრომების მიღება

- აბსტრაქტების გადარჩევის ეტაპის მიხედვით;
- რეკომენდაციით;
- პირდაპირ მიწოდებით;
- სპეციალური წესით.

## ნაშრომების შინაარსობრივი შეფასება

- პლაგიატის შემოწმების შემდეგ ან მის პარალელურად ხდება ნაშრომის შემოწმება არგუმენტირებულობაზე, ფაქტობრივ შეცდომებზე, წყაროთა მითითების საკითხებზე;
- შემოწმების შედეგებს და შეფასებებს რედაქტორი წარუდგენს სარედაქციო საბჭოს, საკუთარ რეკომენდაციებთან ერთად;
- სარედაქციო საბჭო დამატებით შენიშვნებს წარმოადგენს ნაშრომებზე ან/და ეთანხმება რედაქტორის პოზიციას ან/და უარყოფს რედაქტორის პოზიციას.

## ავტორებთან ინდივიდუალური უკუკავშირი სარედაქციო საბჭოს წინასწარ გადაწყვეტილებაზე

- თუ სარედაქციო საბჭო იღებს უარყოფით გადაწყვეტილებას, აღნიშნული ეცნობება ავტორებს დელიკატურად მომავალ თანამშრომლობაზე მოწვევით;
- თუ სარედაქციო საბჭოს არ აქვს საბოლოოდ ჩამოყალიბებული პოზიცია და იგი დამოკიდებულია ნაშრომში განსახორციელებელ ცვლილებებზე, რედაქტორი შესაბამის კომენტარებს აერთიანებს და ისე აწვდის ავტორ(ებ)ს, თან მითითებს, რომ ცვლილებებზეა დამოკიდებული გამოქვეყნების გადაწყვეტილება;
- თუ ნაშრომი სრულად მისაღებია საბჭოსათვის ან/და მხოლოდ მცირე ცვლილებებია საჭირო, რედაქტორი აცნობებს ავტორს ამის შესახებ და შესაძლო ცვლილებებს მიმოიხილავს მასთან(მათთან) ერთად.

## შესწორებული ნაშრომების განხილვა

- რედაქტორი საჭიროების შემთხვევაში ეხმარება ავტორებს და დამატებით მითითებებს აძლევს;
- შესწორებულ ნაშრომებს ჯერ ეცნობა რედაქტორი, შემდეგ კი უზიარებს სარედაქციო საბჭოს, სადაც გააცნობს მათ შესწორებებს და კვლავ წარუდგენს რეკომენდაციას.
- საბოლოო გადაწყვეტილებას გამოსაქვეყნებელ ნაშრომებზე იღებს სარედაქციო საბჭო.

ზემოთ აღწერილ პროცესში განსაკუთრებით აქტიურია რედაქტორის ფუნქციები.

**რედაქტორი უზრუნველყოფს:**

1. სტატიათა **პლაგიატის** შემთხვევების გადამოწმებას ინდივიდუალური დამთხვევების შემოწმებით, რათა გამორიცხოს შეცდომა პროგრამაში (მაგ. პროგრამა ყოველთვის ვერ აღიქვამს ბრჭყალებს, დამთხვევად მიიჩნევს კანონიდან ამონარიდებს, გარკვეულ სიტყვათა წყობას, რომელიც დამახასიათებელია სამართლებრივი ტექსტებისთვის და ა.შ.);
2. სტატიების **არგუმენტირებულობის** შემოწმებას, რა დროსაც ფასდება ავტორის საკმარისი არგუმენტი ან/და წყარო ჰყავს თუ არა მოყვანილი;
3. სტატიების **მეთოდოლოგიურ თანმიმდევრობას** (coherence), რა დროსაც მოწმდება, რამდენად ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული პოზიციები და დასკვნები;
4. **წყაროების ანალიზს**, რა დროსაც თითოეული წყარო მოწმდება, რათა დადასტურდეს, რომ ავტორის მიერ მოყვანილი მტკიცებულება რეალურად რელევანტურია და შეიცავს ავტორის მიერ მითითებულ არგუმენტს/ინფორმაციას;
5. ავტორებთან **ინდივიდუალურ კომუნიკაციას** და ნაშრომებში ცვლილებების შემდგომ შეფასებას;
6. სტატიათა **თარგმნას, სტილისტურ** გასწორებას, **ფორმატირებას, დაკაბადონებას და საბეჭდი ვერსიის** მომზადებას.<sup>1</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა მაღალი ხარისხის ნაშრომების მიღება, ხშირად ავტორების მხრიდან არ არის შესრულებული საკმარისი კვლევა, არ არის მოძიებული მნიშვნელოვანი წყაროები, დადასტურებულ ფაქტობრივ მოცემულობად არის მიჩნეული არაერთი საკამათო პოზიცია და ა.შ. აღნიშნული გამოწვევა მნიშვნელოვნად შემცირებულია ორ-ეტაპიანი კონკურსის პირობებში, რამდენადაც რედაქტორის პირველადი კომუნიკაცია ავტორებთან ნაშრომების წერის დაწყებამდე ხდება, რა დროსაც მათ მივუთითებთ აკადემიურ სტანდარტებზე, ეთიკის წესებზე და ხაზს ვუსვამთ, რომ ჟურნალისთვის პრიორიტეტულია კვლევითი პროდუქტების მიღება.

უკანასკნელი გამოცემებისთვის ჟურნალმა სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით პრიორიტეტად დაისახა მაღალ აკადემიურ საფეხურზე (მაგისტრი, დოქტორანტი, დოქტორი) მყოფი პირებისგან ნაშრომების მიღება, რაც ერთის მხრივ, კვლევითი სტანდარტების გაზრდას ემსახურება და ამავდროულად, აკმაყოფილებს გამოცემების საერთაშორისო რეიტინგების მხრიდან დადგენილ მოთხოვნებს.

ჟურნალში გამოქვეყნებული ყველა სტატია ითარგმნება (ინგლისურიდან ქართულად ან პირიქით), ჟურნალი ახალისებს ავტორების მიერ სტატიათა თარგმნას და აფასებს მათ ჩართულობას ამ პროცესში, რა დროსაც ტიტულის გვერდზე მთარგმნელების სიაში ხდება ავტორის მითითება. თარგმანს უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ დაქირავებული კვალიფიციური თარჯიმანი და რედაქტორი.

ჟურნალი ასევე ასრულებს სტატიათა ენობრივ კორექტირებას, და შესაძლებლობის შემთხვევაში, სტილისტური გასწორებაც.

---

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ რედაქტორის მიერ შერჩეულია და გამოიყენება utf-8 უნიკოდზე დამყარებული ქართული ფონტები - BPG Nino Mtavruli, BPG Prime EL, BPG Extrasquare და BPG Exstrasquare Mtavruli. ამ ფონტების გამოყენების ნებართვა ჩემი უშუალო კომუნიკაციით, მათი ავტორისგან, ბატონი ბესარიონ გუგუშვილისგან ჟურნალის მიზნებიდან გამომდინარე უფასოდ იქნა მოპოვებული.

ყველა პროცედურის დასრულების შემდგომ ჟურნალის რედაქტორი სასამართლოს ვებგვერდზე ათავსებს ყველა სტატიას ცალ-ცალკე შესაბამისი ინფორმაციის მითითებით და სრულ ნომერს. იმავე ინფორმაციას რედაქტორი ასევე ათავსებს DOAJ-ის სპეციალურ ვებგვერდზე.

## ჟურნალის გამოცემები

სულ გამოცემულია 6 ნომერი 3 წლის განმავლობაში, რაც თანხვედრაშია თავდაპირველ მიზნებთან და შესაბამება აკადემიურ სივრცეში არსებულ ინტერესებსა თუ შესაძლებლობებთან.

ჟურნალის გამოცემები ცალკეულ შემთხვევაში გარკვეულ საკითხსაც ეძღვნებოდა, კერძოდ ჟურნალის პირველი გამოცემა დაეთმო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის წლიურ ანგარიშს, სადაც ანგარიშის შემოკლებული ვერსია გამოქვეყნდა.

2020 წელს საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი იყო ერთ-ერთი პირველი სამართლებრივი პერიოდული გამოცემა მსოფლიოში, რომელმაც სპეციალური ნომერი მიუძღვნა საგანგებო ვითარების კონსტიტუციური ჩარჩოს მიმოხილვას. აღნიშნული ნომერი განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობს სამართლებრივ წრეებში.

2021 წლის პირველი ნომერი კი დაეთმო საქართველოს პირველი კონსტიტუციის 100 წლის იუბილეს.

## ჟურნალში საერთაშორისო ავტორიტეტული ნაშრომების განთავსება

სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ჟურნალის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრა მასში საერთაშორისო ავტორიტეტული ნაშრომების ქართულად თარგმნა და გამოქვეყნება (ორივე ენაზე). აღნიშნული პროცესი ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური და რთულია ჟურნალისთვის, რადგან ასეთ ნაშრომთა უდიდესი ნაწილი არ არის ღიად ხელმისაწვდომი და მოითხოვს დიდ ხარჯებს. ჟურნალის ერთ-ერთი მთავარ მიღწევას, რომ ასეთი ნაშრომების გამოქვეყნების ლიცენზიის უფასოდ მოპოვება მოხერხდა რამდენიმე ნომრისათვის, რაც ერთის მხრივ, თავდაპირველ გამომცემლებთან და, მეორეს მხრივ, უშუალოდ ავტორებთან აქტიური კომუნიკაციის შედეგია.

სამწუხაროდ, ყველა შემთხვევაში მსგავსი შედეგი ვერ იქნა მიღწეული, თუმცა ამ ეტაპისათვის გამომცემლებთან და ავტორებთან აქტიური კომუნიკაციით უკვე გამოქვეყნდა შემდეგი ნაშრომები:

1. კლაუს კრესი - აგრესიის დანაშაულზე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის ამოქმედების შესახებ (2018) - გამოქვეყნდა ავტორის ნებართვით;
2. იონ ელსტერი - კონსტიტუციის შემუშავება და ძალადობა (ორიგინალი გამოქვეყნდა 2012 წელს, ჟურნალში განთავსდა 2018 წელს) - გამოქვეყნდა ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობის ნებართვით;
3. ანდრამ შაიო - კონსტიტუციური მართლმსაჯულების შესაძლებლობები სოციალური უფლებების საქმეებში (ორიგინალი მომზადდა 2009 წელს, თუმცა პირველად გამოქვეყნდა საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალში 2019 წელს) - გამოქვეყნდა ავტორის ნებართვით;
4. ჯერემი უოლდრონი - (ორიგინალი გამოქვეყნდა 1991 წელს, ჟურნალში განთავსდა 2019 წელს) - გამოქვეყნდა ავტორის ნებართვით;
5. ბრიუს აკერმანი - საგანგებო კონსტიტუცია (ორიგინალი გამოქვეყნდა 2004 წელს, ჟურნალში განთავსდა 2020 წელს) - გამოქვეყნდა იელის სამართლის ჟურნალის თანხმობით;

6. ბრიუს აკერმანი - საგანგებო მდგომარეობები (ორიგინალი გამოქვეყნდა 2018 წელს, ჟურნალში განთავსდა 2020 წელს) - გამოქვეყნდა ავტორის და წიგნის ავტორის, კას რ. სანსტინის პირადი ნებართვებით;
7. ერიკ ა. პოზნერი - აშშ-ში აღმასრულებლისადმი მინდობა 11 სექტემბრის შემდეგ (ორიგინალი გამოქვეყნდა 2012 წელს, ჟურნალში განთავსდა 2020 წელს) - გამოქვეყნდა ჰარვარდის სამართლის და საჯარო პოლიტიკის და ავტორის პირადი ნებართვით;
8. კლარისა ლონგი - პირადი ინფორმაცია და პანდემია (ორიგინალი გამოქვეყნდა 2020 წელს, გადამუშავდა და გამოქვეყნდა ჟურნალში 2020 წელსვე) - გამოქვეყნდა ავტორის ნებართვით;
9. რუთ ბეიდერ გინსბურგი, დებორა ჯონს მერიტი - აღმჭურველი ქმედება: დიალოგი ადამიანის საერთაშორისო უფლებებზე (ორიგინალი გამოქვეყნდა 1999 წელს, ჟურნალში განთავსდა 2020 წელს) - გამოქვეყნდა გამომცემლობის, ნიუ იორკის ქალაქის ადვოკატთა ასოციაციის თანხმობით;
10. კას რ. სანსტინი - მზარდი აღფოთება (ორიგინალი გამოქვეყნდა 2019 წელს, ჟურნალში განთავსდა 2020 წელს) - გამოქვეყნდა კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესის თანხმობით.

გარდა ამისა, აქტიურად ვეცნობით სხვადასხვა ავტორიტეტულ გამოცემას და მათში დიად ხელმისაწვდომი აქტუალური ნაშრომების თარგმნით ვამდიდრებთ ჟურნალის ცალკეულ გამოცემებს, მაგალითად, ასეთი იყო ლეინეკე სლინდერბერგის („უფლება, იყო დომინაციისგან თავისუფალი: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა მიგრანტების სიდატაკეზე“, ორიგინალი გამოქვეყნდა 2019 წელს, როგორც დიად ხელმისაწვდომი ნაშრომი და ჟურნალმა იგი გამოაქვეყნა 2019 წელს, როგორც საინტერესო თემატიკა) ნაშრომი.

დიად ხელმისაწვდომი ნაშრომების გარდა, ყველა ნაშრომისთვის ლიცენზიის მოპოვებისთვის ჟურნალის რედაქტორი აწარმოებს უშუალო მოლაპარაკებებს გამომცემლობებთან ან ავტორებთან, რათა მოიპოვოს დიად გამოქვეყნების უფლება. როგორც წესი, სრულად დიად გამოქვეყნების უფლება არ არის მისაღები ავტორებისთვის ან გამომცემლობებისთვის, ამიტომ creative commons-ის სხვა, შედარებით მეზღუდული ლიცენზიის ფორმა შეირჩევა მოლაპარაკებების პროცესში კონკრეტულად ამ ნაშრომებზე, როგორც გამონაკლისი. ეს ინფორმაცია თითოეულ ნაშრომთან და ჟურნალის ტიტულის ფურცელზე მიეთითება.

## ჟურნალის აღიარება და ხელმისაწვდომობა



ჟურნალი ხელმისაწვდომია სამართლის ერთ-ერთ უდიდეს ელექტრონულ ბიბლიოთეკაში HeinOnline, რაც ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან რედაქტორის აქტიური კომუნიკაციის და დარწმუნების შედეგია.

ჟურნალი განთავსებულია დიად ხელმისაწვდომ ჟურნალთა ყველაზე დიდ და ავტორიტეტულ ბაზაში DOAJ, რომელიც აღიარება, რომ გამოცემა მიჰყვება დიაობის საერთაშორისო სტანდარტებს და ეთიკის წესებს.

ჟურნალის საერთაშორისო რეფერირებადი სტატუსი აღიარებულია ასეთი აღიარების გამცემი ერთადერთი საერთაშორისო ინსტიტუციის, UlrichsWeb-ის მიერ, რაც უზრუნველყოფს მისდამი აკადემიური საფეხურის სტუდენტების ინტერესს (სტატია ასეთ სტუდენტებს სასწავლო კურსის მიზნებისთვის გამოქვეყნებულად ეთვლება მხოლოდ UlrichsWeb-ზე დადასტურებულ ჟურნალში გამოქვეყნების შემთხვევაში). ჟურნალი ასევე ინდექსირებულია ERIH PLUS სისტემის მიერ, რაც დამატებით აქტუალობას სძენს მას დოქტორანტურის სტუდენტებისათვის, რომელთაც დამატებითი კრედიტებისათვის მოუთხოვებთ ინდექსირებულ ჟურნალში ნაშრომის გამოქვეყნება.

დამატებით დაწყებულია პროცესი Elsevier-ის Scopus-ის რანგირებისთვის (და შესაბამისად, ScimagoJR-ისთვის).<sup>2</sup> პროცესს ესაჭიროება მინიმუმ 2 წლიანი გამოცემის გამოცდილება და მნიშვნელოვანი კრიტერიუმების დაკმაყოფილება, რაც ამ ეტაპისთვის თითქმის სრულად აქვს ჟურნალს შესრულებული და 2020 წლის მეორე ნახევრიდან უკვე მიმართულია ამ ბაზებისათვის, თუმცა გადაწყვეტილების მიღებას 6-12 თვე სჭირდება.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალი ცალკე გვერდად გამოიყო სასამართლოს ვებგვერდზე და მასზე განთავსებული ინფორმაცია სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. გარდა ამისა, ცალკე გამოყოფით გაიზარდა ჟურნალის ხილვადობა, ხოლო სტატიათა კონკურსი კი სასამართლოს სხვადასხვა გვერდზე ნავიგაციისას გამოყოფილად ჩანს, რაც ავტორთა მოზიდვის პროცესს აძლიერებს.

ნიშანდობლივია, რომ ჟურნალის ყველა გამოცემის სტატია ცალ-ცალკე ფაილად იტვირთება და გამოყოფილია აბსტრაქტის ნაწილი ორივე ენაზე, რაც წარმოადგენს საერთაშორისო ინდექსირების და ბაზების მწარმოებლების მოთხოვნებს.

## გამოწვევები

ჟურნალის ამჟამინდელი ელექტრონული გამოცემა 2020 წლიდან სასამართლოს ვებ-გვერდთან ერთად განახლდა, რაც მისი მხრიდან არაერთი საერთაშორისო სტანდარტის დაკმაყოფილებას აადვილებს. თუმცა, პანდემიის გამო, ვერ მოხერხდა eISSN პროცედურის გავლა, რასაც ეროვნული ბიბლიოთეკის შესაბამის წარმომადგენელთან აქტიური კომუნიკაცია სჭირდება და სასურველია, აღნიშნული 2021 წლის პრიორიტეტი იყოს ჟურნალისათვის (შედეგად, ჟურნალი განთავსდება Road ISSN-ზე).

ამჟამად, ჟურნალის ფორმატირება, დაკაბადონება და საბეჭდი ვერსიის მომზადება უშუალოდ ჟურნალის რედაქტორის მიერ ხდება, რაც არ წარმოადგენს მისთვის დამახასიათებელ ფუნქციებს და იწვევს ჟურნალის დამუშავების პროცესის გაჭიანურებას. მართალია, ყველა გამოცემა დროულად მომზადდა, თუმცა ამ პროცესზე დახარჯული დროის უფრო ეფექტიანად ათვისება ზემოთ დასახელებული გამოწვევების დაძლევისთვის შეიძლებოდა.

## დასკვნა



დღეს სასამართლოს აქვს ხარისხიანი, ეთიკური და ღია გამოცემის წარმოების გამოცდილება, რომელიც მაღალი დაინტერესებით სარგებლობს შესაბამის წრეებში. ჟურნალის სამომავლო განვითარებისთვის არაერთი ნაბიჯია გადადგმული და მცირე ძალისხმევით შესაძლებელია გამოცემის დამატებითი აღიარების და კოჰულარიზების მიღწევა.

2021 წლის 18 თებერვალი

<sup>2</sup> კრიტერიუმები და მოთხოვნები მოცემულია აქ: <https://www.elsevier.com/solutions/scopus/how-scopus-works/content/content-policy-and-selection>